საჯარო სამართლის იურიდიული პირი
მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020173868727222

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 **32 2 95 00 30**

 # 22/7997 **17 / ოქტომბერი / 2022 წ.**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის გურჯაანის მუნიციპალიტეტში, არაშენდას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე 1072020 $მ^3$ კონგლომერატის მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 54956/67488 28.09.2022წ.).

ლიცენზია გაიცემა 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 1072020 $მ^3$-ს, წელიწადში საშუალოდ 53601 $მ^3$-ს. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 53601 $მ^3$-ზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 600-740 მ. სიმაღლეზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, არაშენდას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიაზე, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

სალიცენზიო ობიექტი ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში (270 მ)

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე